პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 244 (18786) კვირა, 23 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ორდენი — ხარკოვის დროშაზე

ხარკოვი, 21 ოქტომბერი. (საკ-დესი). დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქის მშრომელთა მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობისა და სიმტკიცისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებებისათვის ხარკოვი დაჯილდოდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. დღეს აქ გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც ქალაქისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მან დამსწრეთ, ყველა ხარკოველს, ხარკოვისათვის ბრძოლების მონაწილეებს გულითადად მიულოცა ჯილდო და ფაშისტ დამპყრობთაგან ქალაქის განთავისუფლების 40 წლისთავი.

ხარკოვის მშრომელებმა, აღნიშნა ორატორმა, ბევრი მკაფიო ფურცელი ჩაწერეს ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მატიანეში, პროლეტარული ხარკოვი უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის საყრდენი პუნქტი გახდა.

ვ. ვ. შჩერბიცკიმ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეარებილთა ტაშის გრიალში საპატიო ჯილდო ქალაქის დროშას მიანიჭა.

სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხარკოვის მშრომელთა მხედრული და შრომითი [illegible] ხურების აღიარებისათვის, ქალაქისა და ოლქის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე დიდი ზრუნვისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვისადმი.

კადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დამთავრდა მსმენელთა მორიგი ნაკადის სწავლა. ესენი არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და მინისტრთა მოადგილეები კადრების დარგში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

სწავლის პროცესში მსმენელებმა მოისმინეს ლექციების ციკლი სახალხო მეურნეობის მართვის თანამედროვე მეთოდებზე, მართვის ობიექტების მოდელირებასა და სისტემურ ანალიზზე. მათ მოისმინეს ლექციები და მოხსენებები მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე და სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებების, თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის შესახებ.

მსმენელთა მიერ წარმოდგენილი სადიპლომო ნამუშევრებიდან ბევრმა დაიმსახურა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მაღალი შეფასება, ხოლო ზოგიერთ მათგანს მიეცა რეკომენდაცია დანერგვისათვის.

მსმენელებს შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ა. კავსაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ჯ. ბერიძე, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. (საქინფორმი).

გეგმები — საოქტომბროდ

თბილისის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა ამიერკავკასიის რკინიგზის მონათესავე საწარმოთა შორის პირველმა უპატაკა სალიანდაგო გადასარბენების კაპიტალური რემონტის 10 თვის გეგმის ვადამდე შესრულება. ამასთან უზრუნველყოფილია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემდგომი შემცირება, ხოლო მოგების ზრდის დავალება რეალიზებულია 135,6 პროცენტით.

— წარმატება მელიანდაგეთა დიდი რაზმის შეუპოვარი შრომის, მომიჯნავე სამსახურების მუშაკებთან მათი მჭიდრო თანამეგობრობის, სოლიანდაგო სამანქანო სადგურების საწარმოო ბაზის გაძლიერების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დონის ამაღლების შედეგია, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას სალიანდაგო დისტანციის უფროსმა ვ. ვაშაკიძემ. — გადასარბენების ვადამდე გაჯანსაღების მეოხებით რეალიზებულია მატარებლების მოძრაობის სიჩქარის ზრდისა და მაგისტრალის მთავარ მიმართულებათა გამტარუნარიანობის გადიდების არსებითი რეზერვი.

გადაწყდა, დიდი ოქტომბრის 66 წლისთავისათვის გეგმის გადაჭარბებით გაიყვანონ კიდევ სამი კილომეტრი, ააგონ 850 ახალი შპალი, დაზოგონ 6 ტონა ლითონი, 10 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 4 ტონა სათბობი, რაც გაცილებით აღემატება დაპირებულს.

ფოთი. (საკ. კორ.). წარმატებით იღვწიან ქალაქის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს (უფროსი გ. დოლბაია) მშრომელები, რომლებმაც 13 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური დავალება და ამით გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრის მიზნით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებაც გაანაღდეს. ამ დღეებში შესრულდება პროდუქციის რეალიზაციის წლიური დავალებაც.

სამმართველოს კოლექტივის ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ტრალერების „საქართველოს“ (კაპიტან-დირექტორი ბ. ამაკელია) „რუსლანის“ (კაპიტან-დირექტორი — ი. გრიაზნოვი) „ახუნის“ (კაპიტან-დირექტორი — გ. კაჭარავა), № 1 თევზგადამუშავებელი საამქროს (უფროსი შ. ძნელაძე) კოლექტივებმა და სოციალისტური შეჯიბრების სხვა მოწინავეებმა.

ფოთელი მეგადურები მიღწეულს არ სჯერდებიან, მათ ვადაწყვეტეს წლის დამლევამდე. დარჩენილ პერიოდში 15,5 მილიონი მანეთის პროდუქცია მიაწოდონ მომხმარებლებს.

რ. რუსია.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის სასოფლო-სახალხო მოძრაობაში. უკეთ გამოიყენეთ ნედლეული, ტექნიკა, მთელი მატერიალური რესურსები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

რუსთავის ამწეების ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა, რომლის კოლექტივიც წარმატებით არომევს თავს ნაკისრ ვალდებულებებს. ქარხანაში ბევრია მოწინავე უბანი, მათ შორის შრომის დიდების ვახტზე დგას საწნეხ-სამჭედლო საამქრო.

საამქრო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას და ყოველდღიურად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 66 წლისთავისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა საამქროს მწნეხავმჭედელი, კომუნისტი აკაკი მელიქიძე, რომელიც უკვე ოთხი წელია ამ საამქროში მუშაობს და კარგი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული.

სურათზე: საწნეხ-სამჭედლო საამქროს მჭედელი ა. მელიქიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ორ ფრონტზე

21 ოქტომბერს ბერლინიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. იგი მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მუშაობაში.

აეროდრომზე დ. თ. უსტინოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი გ. კ. ცარიოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ვ. გრაბოვსკი. (საკდესი).

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

22 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო ჰოლანდიის ტექსელის კუნძულის ბურგომისტრი იოპ ენგელფარტი და „ნიდერლანდი-სსრ კავშირის“ საზოგადოების თავმჯდომარე უილიამს ჰულსტი, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებიან.

ამბ. ჩერქეზია გულთბილად მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი დიდი მადლიერების გრძნობით ინახავს მეხსიერებაში ტექსელის მცხოვრებთა გმირობას, რომლებმაც დახმარება და მხარდაჭერა გაუწიეს ქართველ ანტიფაშისტ მეომრებს ომის მკაცრ წლებში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში ორასი ტექსელელის ჩამოსვლა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს არა მარტო თბილისსა და ტექსელს შორის კონტაქტების გაძლიერებაში, არამედ საბჭოთა და ჰოლანდიელი ხალხების ურთიერთობის გაუმჯობესებაშიც, ამბ. ჩერქეზიამ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის მშრომელთა დღევანდელი ცხოვრება და მიღწევები, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ აღნიშნავენ ისინი ღირსშესანიშნავ თარიღს — რუსეთთან საქართველოს დამოყვრების 200 წლისთავს.

იოპ ენგელფარტმა და უილიამს ჰულსტმა მადლობა გადაიხადეს გულითადი მასპინძლობისათვის. მათ ილაპარაკეს ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის „ნიდერლანდი-სსრ კავშირის“ საზოგადოების მუშაობაზე, აღნიშნეს, რომ ტექსელის მცხოვრებნი სულითა და გულით ესწრაფვიან საქართველოს დედაქალაქთან მუდმივი პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე. (საქინფორმი).

სატვირთო ხომალდის შეპირაპირება

საკადესის ცნობა

1983 წლის 22 ოქტომბერს 14 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით „პროგრეს-18“ ავტომატური სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-7“-„სოიუზ ტ-9“ ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსს.

კოსმოსური აპარატების ურთიერთძიება, დაახლოება, მიდგომა და შეპირაპირება ხორციელდებოდა ფრენის მართვის ცენტრიდან მიღებული ბრძანებებით და საბორტო ავტომატიკის დახმარებით. მიდგომისა და შეპირაპირების პროცესებს აკონტროლებდა ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი — კოსმონავტები ლიახოვი და ალექსანდროვი. სატვირთო ხომალდი სადგურს შეუპირაპირდა მისი საგრეგატო ნაკვეთურის მხრიდან.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით „სალუტ-7“-„სოიუზ ტ-9“-„პროგრეს-18“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ლიახოვი და ალექსანდროვი თავს კარგად გრძნობენ.

ლ. ი. უსტინოვი მოსკოვს დაბრუნდა

21 ოქტომბერს ბერლინიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. იგი მონაწილეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მუშაობაში.

აეროდრომზე დ. თ. უსტინოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის

ხუთწლედის ნაბიჯები

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1983 წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

მრეწველობის მუშაკებმა 101 პროცენტით **შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა. პროდუქციის მოცულობის** გეგმა შეასრულა **ყველა** სამრეწველო სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკამ. გადაჭარბებით შესრულდა ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის ნაწარმის გამოშვების დავალებანი.

დაჩქარდა სამრეწველო წარმოების განვითარება, გაუმჯობესდა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. **წარმოების საერთო მოცულობის** მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,1 პროცენტი შეადგინა. **შრომის ნაყოფიერება** გადიდდა 3,5 პროცენტით; ამის შედეგად მიღებულია პროდუქციის მატების 88 პროცენტი.

მთლიანად მრეწველობაში და მეტ წილ სამინისტროებში შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებდა საშუალო ხელფასის გადიდებას; ამ მაჩვენებელთა თანაფარდობა გაუმჯობესდა და შეესაბამებოდა წლიური გეგმით გაანგარიშებულს. შესრულდა პროდუქციის თვითღირებულებისა და მასალატევადობის შემცირების დავალებანი, გაიზარდა მოგება.

ქვემოთ მოყვანილია **სამინისტროების** მიხედვით პროდუქციის მოცულობის გეგმის შესრულების, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მონაცემები:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	პროდუქციის მოცულობის ცხრა თვის გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წლის ცხრა თვე პროცენტებით 1982 წლის ცხრა თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის	100,7	103	100,5
ნავთობის მრეწველობის	101	102	99,3
ნავთობგადამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	100,7	102	102
გაზის მრეწველობის	102	106	104
ქვანახშირის მრეწველობის	100,3	101	99,6
შავი მეტალურგიის	102	104	103
ფერადი მეტალურგიის	100,9	103	103
ქიმიური მრეწველობის	102	105	104
მინერალური სასუქების წარმოების	101	109	107
ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის	102	106	105
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	101	105	106
ელექტროტექნიკური მრეწველობის	102	107	107
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის	102	108	108
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	102	107	106
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების	102	106	107
საავტომობილო მრეწველობის	102	104	104
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	102	106	105
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	102	110	107
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	103	105	105
მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების	100,8	106	106
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის	101	104	105
საშენ მასალათა მრეწველობის	102	104	104
მსუბუქი მრეწველობის	100,5	100,4	102
კვების მრეწველობის	103	105	105
ხალბოსტნეულის მეურნეობის	104	110	107
ხორცისა და რძის მრეწველობის	104	108	107
თევზის მეურნეობის	104	103	104
დამზადების	102	103	102
სამედიცინო მრეწველობის	100,9	108	107
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	104	116	112

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებისა და ზრდის ტემპის მაჩვენებლებს მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით (საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ჩათვლით) ახასიათებს შემდეგი მონაცემები:	პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წლის ცხრა თვე პროცენტებით 1982 წლის ცხრა თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით
რუსეთის სფსრ	101	103,8	103,6
უკრაინის სსრ	102	104,1	103,5
ბელორუსიის სსრ	102	104,9	103,8
უზბეკეთის სსრ	101	104,5	101,5
ყაზახეთის სსრ	102	103,5	101,8
საქართველოს სსრ	102	105,6	104,4
აზერბაიჯანის სსრ	102	105,5	103,7
ლიტვის სსრ	102	104,8	104,3
მოლდავეთის სსრ	103	114,7	113,4
ლატვიის სსრ	101	102,4	102,7
ყირგიზეთის სსრ	101	103,7	102,8
ტაჯიკეთის სსრ	102	101,5	99,3
სომხეთის სსრ	102	105,3	102,8
თურქმენეთის სსრ	104	104,2	102,4
ესტონეთის სსრ	102	104,4	104,6

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა:	წარმოებულია 1983 წლის ცხრა თვეში	1982 წლის ცხრა თვესთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	1033	104
ნავთობი (გაზკონდენსატის ჩათვლით), მილიონი ტონა	463	102
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	393	107
ქვანახშირი, მილიონი ტონა	538	99,8
ფოლადი, მილიონი ტონა	114	103
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	79,3	103
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	11,1	105
რკინის მადანი, მილიონი ტონა	184	100,6
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	22,2	109
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეული), ათასი ტონა	420	105
კაუსტიკური სოდა, მილიონი ტონა	2,1	102
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	18,2	104
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	3,3	108
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა	994	107
ავტოსაბურავები, მილიონი ცალი	46,3	100,6
ტურბინები, მილიონი კილოვატი	11,1	86
ტურბინების გენერატორები, მილიონი კილოვატი	10,0	104
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	40,0	99,8
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	1648	105
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვისა	449	116
სამჭედლო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთისა	495	106
პროგრამული მართვის ავტომატური მანიპულატორები (სამრეწველო რობოტები), ათასი ცალი	7,9	206
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	3,2	107
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	2,4	113
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	159	99,6

(დასასრული მე-2 გვ.)

მკითხველებს „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

რთველი გრძელდება

აფხაზეთის მევენახეებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების წლიური გეგმა: სახელმწიფო მარანში ჩააბარეს 6300 ტონა ყურძენი. ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს გუდაუთის რაიონის მშრომელებმა: მათ რთვლის ორი დეკადის მანძილზე მოკრიფეს 4700 ტონა ყურძენი და ვადამდე გაანაღდეს წლის დავალება. უხვი მოსავალი მოიწიე ორჯონიკიძის, ლიხნის XXIV ყრილობის სახელობის, „შუგუძირხვის“, „ააცის“ და სხვა კოლმეურნეობებმა.

ყურძნის კრეფა გრძელდება ავტონომიური ოლქის სოხუმის, გულრიფშის, გალისა და სხვა რაიონებში. მათი მიზანია დაამზადონ პროდუქციის მაქსიმუმი, რათა შეაძლებლობის ფარგლებში აანაზღაურონ რესპუბლიკაში ყურძნის დანაკლისი, რაც გამოიწვია სეტყვამ, რომელმაც დაზიანა აღმოსავლეთ საქართველოს ზვრები.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს შრომითი წარმატებებით ხვდებიან ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებიც. მათ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. რთვლის დაწყებიდან მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 900 ტონაზე მეტი სამრეწველო ჯიშების ყურძენი.

დაიწყო მანდარინის კრეფა

ქობულეთის რაიონის ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მანდარინის კრეფა. აჭარის ამ უდიდეს სუბტროპიკულ მეურნეობას განზრახული აქვს მიმდინარე სეზონში მოკრიფოს 1.800 ტონა ნაყოფი. ციტრუსოვანთა დიდი პარტია მეურნეობამ მურმანსკის მშრომელებს გაუგზავნა.

საადრეო ჯიშების მანდარინის შერჩევითს კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის გონიოსა და ახალშენის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობებში. ტრადიციისამებრ, აჭარის სუბტროპიკების პირველი საშემოდგომო ნობათი იგზავნება საქართველოს დედაქალაქში.

მიმდინარე წელს აჭარელმა მეციტრუსეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 165 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 129 ათასი ტონისა.

ინიციატორთა სიტყვა და საქმე

ხაშური. („კომუნისტის“ საკ. კორ. გ. ვაშაკიძე). ამ გაზაფხულზე ხაშურის რაიონის მშრომელები რესპუბლიკაში ლობიოს უხვი მოსავლისათვის ლაშქრობის ინიციატორებად გამოვიდნენ.

საზოგადოებრივ მეურნეობებში 726 ჰექტარზე დაითესა ლობიოს კულტურა, მაგრამ გაზაფხულის არახელსაყრელმა ამინდებმა და განსაკუთრებით სეტყვამ 180 ჰექტარზე მოსპო აღმოცენებული მცენარე. აქაურ მემინდვრეებს ცოტა შრომა როდი დასჭირდათ იმისათვის, რომ გადარჩენილ ფართობებზე მთლიანად შეენარჩუნებინათ მოსავალი.

ლობიოს წარმოების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლა აქაურ მშრომელთა უპირველეს საზრუნავად გადაიქცა.

და აი, ამ დღეებში დამთავრდა ლობიოს აღება-დაბინავება. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პირნათლად გაანაღდეს პირობა. დამზადებულია 7.970 ცენტნერი ლობიო, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 14,6 ცენტნერი.

იმათ შორის, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, არიან მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო სასუქებელი საწარმოს, ოსიაურის კოლმეურნეობისა და აღის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები, სადაც ლობიოს წარმოების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 15 ცენტნერს გადააჭარბა.

ᲬᲣᲗᲘᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	612	106
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,2	106
მაგისტრალური თბომავლები, მილიონი ცხენის ძალა	3,0	108
მაგისტრალური ელმავლები, მილიონი ცხენის ძალა	2,9	101
სატვირთო მაგისტრალური ვაგონები, ათასი ცალი	44,0	100,2
ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალა	36,8	103
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიარდი მანეთისა	2,6	105
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები, მილიარდი მანეთისა	1,8	106
კომბაინები, ათასი ცალი:		
მარცვლასაღები	87,9	106
სიმინდასაღები	1,5	130
კარტოფილასაღები	7,0	86
ჭარხლასაღები მანქანები, ათასი ცალი	7,0	95
ბამბაასაღები მანქანები, ათასი ცალი	7,6	102
ექსკავატორები, ათასი ცალი	31,5	98
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა), მილიონი ფესტმეტრი	210	100,3
ქაღალდი, მილიონი ტონა	4,2	104
აქედან საგაზეთო, მილიარდი კვადრატული მეტრი	23,4	102
ცემენტი, მილიონი ტონა	95,7	104
ასაწყობი რკინაბეტონი, მილიონი კუბური მეტრი	94	103
ყოველგვარი ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	8,4	102
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	17,4	100,1
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიარდი ცალი	1,2	102
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	550	102
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება), მილიონი ტონა	7,3	109
ძეხვეული, მილიონი ტონა	2,3	103
სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიარდი მანეთისა	5,1	105
ერბო-კარაქი, მილიონი ტონა	1,2	114
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, მილიონი ტონა	21,1	106
მარგარინის პროდუქცია, მილიონი ტონა	1,1	103
მცენარეული ზეთი, მილიონი ტონა	1,8	109
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	3,0	102
კონსერვები, მილიარდი პირობითი ქილა	13,2	106
აქედან ხილბოსტნეულის	9,3	107
საათები, მილიონი ცალი	52,3	99,2
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	652	104
ხარისხოვანი ჭურჭელი (მინისა და ბროლის), მილიარდი მანეთისა	1,0	103
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	6,9	105
ტელევიზორები, მილიონი ცალი	6,4	103
აქედან ფერადგამოსახულებიანი	2,5	111
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	4,3	98
აქედან 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერიანი	2,1	105
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	3,2	107
მსუბუქი ავტომობილები, ათასი ცალი	986	101
მოტოციკლები და მოტოროლერები, ათასი ცალი	840	102
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	5,3	106

შესრულდა ნავთობის, გაზის მოპოვების, ფოლადის მილების, ავტოსალტეების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და გამოთვლითი ტექნიკის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის, თბომავლების, ელმავლების, ქაღალდის, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების გეგმა.

გასული წლის შესაბამის პეროდთან შედარებით შემცირდა იმ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის დასახელებათა რაოდენობა, რომელთა გამოშვება ჩამორჩება დამტკიცებულ დავალებებს.

გაიზარდა ეკონომიურ სახეობათა ლითონპროდუქციის, სამრეწველო რობოტების, უფრო მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მქონე მანქანებისა და მოწყობილობის, რიცხვული პროგრამული მართვისა და „დამმუშავებელი ცენტრის“ ტიპის ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება.

მიღწეულია სახალხო მეურნეობის მეტ წილ სახეობათა საქონლის, კერძოდ, სელის ქსოვილების, სასურსათო თევზის პროდუქციის, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთის, მოუხდელი რძის პროდუქციის, საკონდიტრო ნაწარმის, ფაიფურ-ქაშანურისა და ხარისხოვანი ჭურჭლის, რადიომიმღები მოწყობილობების, ტელევიზორების, მსუბუქი ავტომობილების, ავეჯისა და მთელი რიგი სხვა პროდუქციის წარმოების დაგეგმილი მატება.

ამასთანავე სამრეწველო სამინისტროებმა და, კერძოდ, შავი მეტალურგიის, ქვანახშირის, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკული, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებმა არ განახორციელეს საქვეუწყებო გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ დადებული ხელშეკრულებებისა და შესასრულებლად მიღებული განწესების შესაბამისად მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების შესრულების სათანადო ღონისძიებანი.

ვერ შესრულდა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოს და ძაფის, ცვლადი დენის ელექტროძრავების, ქიმიური მოწყობილობის, სამასალე მერქნის, ასაწყობი რკინაბეტონის, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, სარეცხი მანქანებისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოების გეგმა.

ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების, დაგროვების გეგმები, უშვებდნენ პროდუქციას, რომელზეც არ არის მოსახლეობის მოთხოვნა.

ხორციელდებოდა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებანი. სამრეწველო საწარმოებში დადგმულია 6 ათასი მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი, კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 3,5 ათასი უბანი, საამქრო, წარმოება, შექმნილია ტექნოლოგიური პროცესების მართვის 153 ავტომატური სისტემა. ათვისებულია და დაწყებულია 2000-ზე მეტი ახალი ნაწარმის გამოშვება, წარმოებიდან მოხსნილია დაახლოებით 2500 მოძველებული სახეობის სამრეწველო პროდუქცია. მაგრამ ვერ შესრულდა მრეწველობის მიერ ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის მთელი რიგი დავალებანი.

შრომითი კოლექტივები ეწევიან მუშაობას წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დადგენილი გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ᲓᲠᲝᲘᲗ ᲜᲐᲪᲐᲓᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ XXXVII ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ურთიერთდახმარების საბჭოში გაერთიანებულ მოძძე სახელმწიფოებს კარგი ტრადიცია აქვთ—ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომაზე ყოველ წელიწადს საფუძვლიანად გაანალიზონ თანამშრომლობის შედეგები, განსაზღვრონ სოციალისტური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების ძირითადი მიმართულებანი, კრიტიკულად გამოავლინონ სამეურნეო ურთიერთმოქმედების რეზერვები, რომლებსაც საერთო ინტერესებისათვის გამოიყენებენ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს უმაღლესი ორგანოს სხდომებზე ყოველთვის სუფევს მეგობრობის, ურთიერთდახმარების, შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების უპირატესობათა გამოყენების ახალი გზების დაინტერესებული ძიების ატმოსფერო.

საბჭოს საქმიანობაში ისტორიაში პირველად პრაქტიკულად შეისხა ხორცი ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობამ.

მისი ქვეყნების მეცადინეობის გაერთიანებისა და კოორდინაციის მიზანია გაღრმავოს ინტეგრაციული პროცესები, გეგმაზომიერად განავითაროს მათი სახალხო მეურნეობა, დაჩქაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თანდათან დაახლოოს და გაათანაბროს მათი განვითარების დონეები. ამ შეთანხმებული მეცადინეობის საბოლოო მიზანია სოციალიზმის ძლიერების განმტკიცება, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

ასეთი ურთიერთობის დიდი ეფექტიანობა, მისწრაფება—კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი სახელმწიფოების ერთიანობა და შეკავშირება, კვლავ დაადასტურა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიამ, რომლის XXXVII სხდომა გიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში.

პრობლემების წრე, რომლებიც განიხილეს მთავრობათა მეთაურებმა და რომლებიც უნდა გადაეჭრას ერთობლივი მეცადინეობით, უშუალოდ დაკავშირებულია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებასთან, ამ ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის ზრდასთან. ეს არის სათბობის, ნედლეულის, მასალების მომჭირნე გამოყენების გზების ძიებაც.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგო და რესურსდამზოგავ ტექნიკის შექმნას, პროგრესულ ტექნოლოგიათა შემუშავებას. ეს არის საშუალოთა განგრძობაც მაღალხარისხოვანი მანქანების, მოწყობილობის შესაქმნელად მიკროპროცესორული ტექნიკის, მიკროელექტრონიკის, სამრეწველო რობოტების ფართო გამოყენებით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიც არის აგროსამრეწველო კომპლექსი, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები ამ საკითხებს ახლა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ. კომპლექსური ღონისძიებანი ამ სფეროში ავსებს ხუთი წლის წინათ მიღებულ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგში თანამშრომლობის გრძელვადიან მიზნობრივ პროგრამას. ისინი მოიცავს ბოსტნეულის, ხილის წარმოების გადიდებასა და მიწოდების გაფართოებას, გენოფონდების უფრო პროდუქტიულ გამოყენებას, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების ფართო დანერგვას, სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

ერთი სიტყვით, საქმიანი, კონსტრუქციული მიდგომა გამოხატავს რწმენას, რომლითაც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები აპირებენ კოლექტიური მეცადინეობით უზრუნველყონ თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური სიმტკიცე ომ პირობებში, როცა იმპერიალიზმის ძალები, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის ადმინისტრაცია, ახორციელებენ სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის შერყევის ხაზს.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი სახელმწიფოები წარმატებით წყვეტენ თავიანთ საშინაო აღმშენებლობითს ამოცანებს. წარმატებით ძლევენ დროებით წარმოშობილ სიძნელეებს. და სწორედ ეს არის რეალური სოციალიზმის ძალა.

იგი აშინებს და აცოფებს ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, რომლებიც ცდილობენ მოგვაწოდონ კაპიტალიზმის სიღრმისეული სენი და მანკიერებანი, ამასთან მსჯელობენ მოჩვენებითი „დაქვითვების“, გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის „უვარგისობის“ შესახებ.

მაგრამ რეალური ცხოვრების ფაქტები ჯიუტია. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 4,1 პროცენტით. ძირითადი ფონდები კი ამოქმედებულია 9 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. ქვეყნის სახალხო მეურნეობა ვითარდება შეუნელებლად, სტაბილურად. იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

ასეთი ტენდენციები ახასიათებს თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ეკონომიკასაც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 4 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მოცულობა 3,8, მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 5,3 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მონღოლეთში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდამ მიაღწია 9,2 პროცენტს, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სამრეწველო წარმოება გაიზარდა შესაბამისად 5 და 3,2 პროცენტით.

მაშ სადღაა „კრიზისი“, „არაეფექტიანობა“ მეურნეობრიობის გეგმიანი მეთოდებისა, რომლებსაც ასე გულმოდგინედ გაიძახოდნენ ბურჟუაზიული წინასწარმეტყველნი? ხომ ცნობილია, რომ დროებითი სიძნელეების პერიოდშიც კი (70-80-იანი წლების მიჯნაზე) ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეკონომიკა უფრო დინამიკურად ვითარდებოდა, ვიდრე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სახელმწიფოთა ეკონომიკა.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციის გამოცდილება, სწორედ მათი განვითარების შედეგები ადასტურებს გეგმიან საფუძველზე სახალხო მეურნეობის გაძღოლის უდიდეს შესაძლებლობებს. ჩვენი მეცადინეობის გაერთიანება ჩამოყალიბდა მთლიან სისტემად—სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციად, ეკონომიკის მთელი დარგების ერთობლივ პროგრამირებად, მრავალმხრივი საინტეგრაციო ღონისძიებების პროგნოზირების დარგში თანამშრომლობის შეთანხმებული გეგმის შემუშავებად.

ასეთმა პრაქტიკამ გაუძლო დროის გამოცდას. როგორც ბერლინის სესიაზე აღინიშნა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები კიდევ უფრო გულდაჯერებით და ეფექტიანად განავითარებენ თავიანთ ურთიერთმოქმედებას, მტკიცედ ივლიან წინ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გზით.

З. ᲞᲔᲢᲠᲣᲜᲘᲐ,
საკდესის მიმომხილველი.



ᲒᲓᲠ. პოტსდამის ოლქში ქიმიური მანქანათსაშენებელი ქარხანა „ტელტომატი“ ეკონომიკური ურთიერთდახმარების წევრ ქვეყნებში ერთადერთი საწარმოა, რომელიც უშვებს საგზაო მშენებლობაში გამოსაყენებელი ასფალტის ავტომატიზებული წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის კომპლექტებს. როგორც ადნის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 750 ასეთი კომპლექტი უკვე მუშაობს 18 ქვეყანაში.

საწარმოს კოლექტივი მჭიდროდ თანამშრომლობს პოლონელ, უნგრელ და საბჭოთა სპეციალისტებთან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲛᲮᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲐᲓᲜ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ.

22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲣᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ᲣᲠᲧᲔᲕᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირი ახორციელებს მტკიცე, ურყევ კურსს, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროების უზრუნველყოფასა და ძირეული ინტერესების დაცვას, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას. ასეთია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაზე საერთაშორისო გამოხმაურებათა ლაკონიტივი. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ სოციალიზმის ქვეყნების ურყევი გადწყვეტილება, დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა, გამოიხატა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა განცხადებაში, რომელშიც ნაზგასმულია, რომ ეს ქვეყნები მხარს უჭერენ ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას, განიარაღებას, რასაც ითვალისწინებს მათი წინადადებების ფართო კომპლექსი.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ხაზს უსვამს ი. ვ. ანდროპოვის განცხადების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელშიც ცხადად არის გამოხატული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა. ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებასა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებას რომ ითვალისწინებს, ნათქვამია **კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის** განცხადებაში.

საბჭოთა ხელმძღვანელის გამონათქვამები კვლავ ადასტურებს უდიდეს როლს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ასრულებს რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ი. ვ. ანდროპოვის განცხადება სეროიზული, მტკიცე პასუხია ამერიკის იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის ძირგამომთხრელ მანევრებზე.

საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არ დაუშვას გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი საშინაო რაუნდი, რომელიც უთუოდ მოჰყვება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებას, აღნიშნავს **„ნოიეს დოიჩლანდი“** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). დღეს ნატოს ქვეყნების მთავრობებს, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას აკისრიათ პასუხისმგებლობა იმისათვის, თუ რა მიმართულებით განვითარდება მდგომარეობა ევროპაში. სოციალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიულ კურსს უპირისპირებენ საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების მასშტაბურ და კონკრეტულ პროგრამებს. კეთილი ნების მთელ პოლიტიკურ ძალებთან ერთად ისინი კვლავაც იდგებიან იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ კაცობრობას ბირთვული კატასტროფის საფრთხე.

საბჭოთა კავშირი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება სეროიზულად გაართულებს საერთაშორისო ვითარებას, აცხადებს მონღოლეთის **მონცამეს** საგენტო, თუ ეს რაკეტები დაიდგმება, საფრთხე შეექმნება არა მარტო სოციალისტურ ქვეყნებს, არამედ ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკასაც. უნდა ვამრავლოთ მეცადინეობა, რათა არ დაუშვას, რომ ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებით კვლევა მოახდინონ ქვეყნებისა და ხალხების ბედზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ვაშინგტონის ახლანდელი კურსი მიმართულია არა მარტო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ, როგორც გამოცდილება მოწმობს, ყოლონური ჩაგრისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფოთა, განმთავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგაც.

თავიანთ განცხადებაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ აქტუალურია მათი წინადადებების ფართო კომპლექსი განიარაღების დარგში, ხაზს უსვამს ფრანგული **„ლუმანიტე“**. მათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს წევრ სხვა სახელმწიფოებს მოუწოდეს რაც შეიძლება სეროიზულად აწონ-დაწონონ შედეგები, რომლებიც მოჰყვება ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ბირთვული რაკეტების განლაგებას და საქმე ისე წარმართონ, რომ მიაღწიონ მორიგებას, რომელიც შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს როგორც ევროპაში, ისე მთელს მსოფლიოში.

საერთაშორისო ვითარებისათვის რთულ პერიოდში, როცა „ქერრები“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოში მსოფლიოს ბირთვული კატასტროფისაკენ უბიძგებენ, მოსკოვიდან გაისმა ბრძოლული, მშვიდი, მტკიცე ხმა, რომელიც მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებს აღკვეთონ ევროპის კონტინენტზე გამალებული შეიარაღების ახალი საშიში რაუნდი, განაცხადა ცნობილმა იტალიელმა მხატვარმა **ი. სპჯარიმ.** ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში გამოხატულია როგორც ევროპაში, ისე მთელ პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისადმი ერთგულ კურსის არსი. ძალ-ღონის დაუზოგავად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ვიხსნათ ხალხები ბირთვული კონფლიქტის საფრთხისაგან, რომელიც დაღუპავს ცივილიზაციას.

ᲒᲨᲠ. 1500-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲐ ᲐᲚᲣᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲠᲔᲛᲔᲠᲰᲐᲤᲔᲜᲘᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ (ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲖᲔ) ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲓᲔᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲗ ᲐᲥ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲜᲐᲚᲐᲒᲜᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „ᲞᲔᲠᲨᲘᲜᲒ-2“ ᲓᲐ ᲤᲠᲗᲝᲡᲜᲘᲡ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘ. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲐᲛ ᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲠᲗᲝᲡᲜᲘᲡ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲓᲞᲐ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲝᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲨᲨ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. რეიმუნდ დონოვანი შეერთებული შტატების შრომის მინისტრი, სერიოზულად არის შეშფოთებული. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სტატისტიკური მონაცემების მორიგი ცნობის თანახმად, ოქტომბრის პირველი კვირის მანძილზე კიდევ 418 ათასზე მეტი ამერიკელი იძულებული გახდა რეგისტრირებულიყო უმუშევრობის გამო დახმარების მისაღებად.

მინისტრს სხვა რამ აწუხებს, ის, რომ განგსტერულ სინდიკატებთან მისი დანაშაულებრივი ურთიერთობის მხილების გამო დაწყებულმა დიდმა სკანდალმა, რომელიც შესაძლებელი გახდა ჩაეფარცხათ თვთრი სახლის აქტიური ჩარევით, შეიძლება ახალი ძალით იფეთქოს. როგორც პრესა იუწყება, დონოვანი უნდა გამოცხადდეს სასამართლოში, რათა მოწმედ გამოვიდეს ორი სისხლისსამართლებრივ პროცესზე, რომელთაგან ერთზე განიხილავენ მკვლელობის საქმეს, მეორეზე კი — საქმეს პროფკავშირულ ბოსებს შორის კორუფციის შესახებ.

ის, რომ მოწმედ მიიწვიეს სწორედ შრომის მინისტრი. შემთხვევითი რიდია; როგორც ცნობილია, სკანდალის დროს ამოტივტივდა ბევრი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ თავის ახლანდელ პოსტზე დანიშნამდე დონოვანი, რომელიც „შეიკონ კონსტრაკშნის“ სამშენებლო კომპანიის ვიცე პრეზიდენტი იყო, მჭიდროდ „თანამშრომლობდა“ მაფიასთან და ეწეოდა პროფკავშირული ბოსების მოსყიდვას. სულ მის წინააღმდეგ წამოყენებული იყო 38 ბრალდება, მაგრამ ყოველი მათგანი საბოლოოდ უარყო სპეციალურმა პროკურორმა, რომელსაც ებარა შრომის მინისტრის საქმე და ამკარად ადმინისტრაციის მითითებით უგულებელყო ბრალდებათა სრული დასაბუთების უტყუარი დამადასტურებელი მრავალრიცხოვანი საბუთი. პროკურორს მაფიაც „დაეხმარა“—სულ რამდენიმე დღით ადრე, სანამ ერთ-ერთი პოლიციის ინფორმატორს უნდა მიეცა ჩვენება და ელაპარაკა იმაზე, რაც მისთვის ცნობილი იყო მაფიასთან დონოვანის ურთიერთობის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი მოწმე მოსპეს, მაგრამ მისი მკვლელები იპოვეს და ახლა, თითქმის ერთი წლის წინასწარი გამოძიების შემდეგ ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. როგორც ჩანს, გამოძიებისას მათ თქვეს ბევრი რამ ისეთი, რამაც მოითხოვა სასამართლო პროცესში თავად დონოვანის ჩაბმა.

დონოვანი უშუალოდაა დაკავშირებული აგრეთვე პროფკავშირული ბოსების კორუფციის შესახებ მომდინარე მეორე პროცესთან: ერთმა იმათგანმა, ვინც ახლა განსასჯელთა სკამზე ზის, დადი თანხა მიიღო „შეიკონ კონსტრაკშნისაგან“ იმის სანაცვლოდ, რომ ამ კომპანიის საწარმოებში უზრუნველყოფდა „კლასობრივ ზავს“.

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲭᲠᲐ ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐᲨᲘ

ᲛᲐᲜᲐ�გᲣᲐ. შეერთებული შტატები ამზადებს ჰონდურასისა და კოსტა-რიკის ტერიტორიაზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაქირავებულთა კონტრრევოლუციური არმიის ახალ ფართო მასშტაბის შემოჭრას ნიკარაგუაში. ეს აქ განაცხადა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორმა დანიელ ორტეგამ.

უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფთან საუბარში მან ხაზგასმით აღნიშნა: იმასთან დაკავშირებით, რომ სომოსელი ავაზაკები დამარცხებას განიცდიან სანდინისტური სახალხო არმიისაგან, რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს ნიკარაგუის წინააღმდეგ ომში ჩაბას ჰონდურასის რეაქციული რეჟიმი, აგრეთვე აგრესიული სამხედრო ბლოკი — ცენტრალური ამერიკის თავდაცვის საბჭო, რომელშიც, როგორც ცნობილია, ჰონდურასის გარდა შედიან აგრეთვე სალვადორი და გვატემალა. დაქირავებულთა არმიის შემოკრა, აღნიშნა დ. ორტეგამ, უახლოეს დროს შეიძლება დაიწყოს, ვაშინგტონი ინტერვენტებს ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას ჰპირდება.

ნიკარაგუის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა ჰონდურასის ხელისუფლებს სომოსელი ავაზაკების ახალი სისხლიანი დანაშაულის გამო. 18 ოქტომბერს ამერიკული იარაღით აღჭურვილი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაახლოებით 300 დაქირავებული ჰონდურასიდან ნიკარაგუაში შემოიჭრა და გაუსწორდა დაბა პანტასმის მცხოვრებლებს, მხეცურად დახოცეს დაახლოებით 50 მშვიდობიანი მცხოვრები.

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში ნათქვამია, რომ ამ ბანდიტური თავდასხმის შედეგად დაბა პანტასმა ნანგრევებად იქცა. კონტრრევოლუციონერებმა გადაწვეს სკოლა, მედპუნქტი, კოოპერატივის ნაგებობანი, სოფლისათის საწყობები, გლეხების სახლები. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ გენოციდის ამ აქტისათვის მთელი პასუხისმგებლობა ენიჭება ადმინისტრაციას და ჰონდურას

„ცხრა მთას იქით როდია“...

რასაც თქმა უნდა, დიდი მგოსანი მისანიც არის. ამიტომ ადარებს აკაკი წერეთელი თავის გულს სარკეს!

სამშობლოსადმი მოწამებრივი სიყვარულით, ფიცით, ვედრებით აკაკი დავით გურამიშვილის უშუალო მემკვიდრეა! ჩვენს საამაყო პოეტს სიმონ ჩიქოვანს ამ გეზის შესავალი აქვს პოეტის ასი ლექსისათვის, რომელიც მისივე რედაქტორობით გამოიცა 1960 წელს.

...დიდი მგოსანი მისანიც არის... ალბათ ეს იგრძნო უპირველესად იაკობ ნიკოლაძემ, როდესაც პარიზში მოციქულ-მოწამესავით ჩასული მხცოვანი პოეტის გამოქანდაკება დაიწყო! შემთხვევითი არც ის იყო, რომ ეს დიდებული ძეგლი ოპერის ბაღში დაიდგა — პირით მთაწმიდისაკენ.,

ვის ჩაუვლია ამ ძეგლისათვის გულგრილად? ვის ჩაუვლია და არ სმენია მგოსნის ვედრება: **„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმახარეო“...**

...დგას წინასწარმეტყველივით თმაქათქთა მოხუცი ორი საუკუნის მიჯნაზე და გრძნობს და ხედავს ჯერეთ სხვათათვის უხილავს.

სამეფო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო, გულის
მწველო,
დაჭკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან
მდელო,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა,
გაცოცხლდები, საქართველო!.

ბერი ქართლისადმი მიმართული ეს ლექსი, მართალია, ჯერ კიდევ 60-იან წლებშია დაწერილი, მაგრამ პოეტი, თავდადგმული ჭირისუფალი და ქომაგი ქვეყნისა, მისი უკეთესი მომავლის მჭვრეტელი და წინასწარმეტყველიც იყო! ამიტომ ამბობს იმავ ლექსში: **„სხვა კილოზე დავამღეროთ თუ რამ ბედმა გაგვაცინა!“**

ახალი საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით გამოირჩა აკაკისეული „სხვა კილო“!

მართა „ინტერნაციონალის“ გადმოქართულება რად ღირს! განა „ინტერნაციონალის“ კილომაც არ განაპირობა XX საუკუნის გარიჟრაგზე ქართულ პოეზიაში რევოლუციური მოტივების მომძლავრება. აკაკის მიერ ნათარგმანებმა საუკუნის ჰიმნმა კამერტონობა გასწია ახალი დროის, ანუ რევოლუციათა დროის ხანაში; 905-იანი წლების მღელვარებით მოცული პოეტიც ხომ ასე გალობდა: **„შენი ჭირიმე, ხანჯალო, რკინაო ხვარახნისაო, შენ ერთადერთო იმედო მტრისაგან გამოხსნისაო!“.**

თვითონ პოეტიც რომ ახალი ძალითა და რწმენით აღავსო ახალი საუკუნის დამდეგმა, სარკესავით ჩანს მის ლექსებში! საკმარისია გავიხსენოთ 1900 წლით დათარიღებული „ქებათა ქება“ და „ნათელას სიმღერა“, (ლექსი ერთობაზე!) 1905-ში ნამღერი „თქვენი ჭირიმე“, „ძირს“, „ჩემი რწმენა“.

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, ალარ ვხტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

„სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!“
„განმტკიცდით, თქვენი ჭირიმე!“
„დაბპერეთ, თქვენი ჭირიმე!
„დრო მოდის — ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!“ განა

დაბერებული ბუღბუოის (ეს თავისივე სიტყვებია) ამ გამამხნევებელ ყიჟინაში არ იგრძნობა თორნიკე ერისთავისებური გაჯახებუკების, მთავარსარდლობისა და შორსმჭვრეტელობის ნიჭი:

ვერ შეაჩერებს ძალით
ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება
კარი...

ამ გაზაფხულს პოეტი მთელი არსებით ელოდა; ეს იმიტომაც, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა ხალხს, ხშირად მოგზაურობდა, ბევრსაც გრძნობდა და შორსაც ხედავდა! მანვე წარმოთქვა, დიახაც, რწმენით 1913 წლის 13 იანვარს მოსკოვში მისდა პატივსაცემად გამართულ სერობაზე დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები:

„...ცხრა მთას იქით როდია ის გაზაფხული, რომელიც თავისი ცხოველი და თბილი სხივებით გაგათბობთ არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ მალე მოვა განახლებული, ახალი რუსეთი და თქვენ, აქ დამსწრენი, ამ ახალი რუსეთის პირველი მერცხლები ხართ...

...ეს ფრაზა „შეუფერებელია“ (ეს თავისივე სიტყვებია) ამ გამამხნევებელ ყიჟინაში არ იგრძნობა თორნიკე ერისთავისებური გაჯახებუკების, მთავარსარდლობისა და შორსმჭვრეტელობის ნიჭი:

ვერ შეაჩერებს ძალით
ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება
კარი...

ამ გაზაფხულს პოეტი მთელი არსებით ელოდა; ეს იმიტომაც, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა ხალხს, ხშირად მოგზაურობდა, ბევრსაც გრძნობდა და შორსაც ხედავდა! მანვე წარმოთქვა, დიახაც, რწმენით 1913 წლის 13 იანვარს მოსკოვში მისდა პატივსაცემად გამართულ სერობაზე დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები:

„...ცხრა მთას იქით როდია ის გაზაფხული, რომელიც თავისი ცხოველი და თბილი სხივებით გაგათბობთ არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ მალე მოვა განახლებული, ახალი რუსეთი და თქვენ, აქ დამსწრენი, ამ ახალი რუსეთის პირველი მერცხლები ხართ“. მიმართავდა აკაკი მოსკოველ ქართველ ახალგაზრდობას.

...ძმობა, ერთობა, თავისუფლება! ხშირად ისმის ეს სამი სიტყვა მგოსნის ბოლოდროინდელ პოეზიასა, პუბლიცისტიკასა თუ მეკერმეტყველებაში. კიდევ ერთი სიტყვა შეუფერებდა მას — „შეხმატკბილება“ და ერთხელ კიდევ იტყვის, რომ ეს მის მიერ დამკვიდრებული სიტყვათაგანია! დიახ, საგულისხმოა ფრიად, რომ ამ გამოთქმას **„შეუხმატკბილოთ ერთმანეთსო“** აკაკისთან ღრმა იდეური შინაარსი და მხედრული

შემართება ამოძრავებს (**„მტერს „ვაი-დედა“ ვაძახოთ“**)!

...წმინდა ანდერძს უწოდებს მგოსანი იმ რჩევა-დარიგებას, რაც ეხება წინაპართა მიერ ერთმორწმუნე რუსეთის მოხმობას საძმოდ და მფარველად: ამით დაიწყო მან თავისი სხარტი სიტყვა პოეტ ბალმონტისადმი:

...როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მოგიხმეს თქვენ, რუსები, მაშინ შვილთაშვილებსაც გვიანდერძეს არ დაგვივიწყებინა ჩვენებური სტუმართმოყვარეობა, შეგვეყვარებია რუსები, გვემეგობრა მათთან და განუყრელად გვევლო მათთან ერთად ერთი გზით.

ბალმონტშიც ახალი ადამიანი, ახალი თაობის სიმედო წარმომადგენელი შეიცნო პოეტმა, გაზაფხულის ერთ-ერთი მაცნე, იმ კაცთაგანი, ვინც ნაცვლად ეკალნარისა, ყვავილებით მოდის.

რუსეთისადმი წინაპართა წრფელ სიყვარულსა და ნდობას, რაიც მათ შთამომავლობასაც გადმოუღიაცეს, მგოსანი არაერთხელ აღნიშნავს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო დიალოგის ფორმით მის მიერ 1911 წლის 26 თებერვალს რუსულად დაბეჭდილი მოგონება („გაზ. „ზაკავკაზიე“) ტარას შევჩენკოზე, რომელიც 60-იან წლებში გაიცნო პეტერბურგში ცნობილი რუსი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვის ბინაზე, სადაც იკრიბებოდა პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებრიობა.

შევჩენკო დაინტერესებულა საქართველოს წარსულით, დამწერლობით, სამართლით, რაზეც უპასუხებდა ახალგაზრდა აკაკი და ისიც გაანდო თურმე, თუ როგორი მოწამებრივი სიყვარულითა და გმირული ბრძოლით გამოატარა საუკუნეების მანძილზე მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფმა ქართველობამ თავისი მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომ ეროვნულობა და სარწმუნოება ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული და ასევე შეურყვნელად მოატანა XIX საუკუნემდე, როდესაც გადასცა ქართლმა ეს სარწმუნოება საშეფოსთან ერთად რუსეთის უძლიერეს სახელმწიფოს.

— როგორ თუ სამეფოსთან ერთად? — იკითხა შევჩენკომ.

— ქართველთა მეფემ, ხალხის ნებით კავშირის კონტრაქტი დასდო რუსეთთან.

...ხალხი, ხალხის ნებით, ამას ერთ კერძო შემთხვევაში როდი ამბობს აკაკი წერეთელი, როდესაც რუსეთთან შეერთების ეხება. ხოლო იმედის თვალი მას მიპყრობილი აქვს ახალი, ანუ ახალგაზრდა რუსეთისადმი, იმ რუსეთისადმი, რომელიც ჭეშმარიტად იქნებოდა მოძმე და მოსარჩლე ძალმძლრობით დაჩაგრული პატარა ქვეყნებისა „დე, ამიერიდან ნუღარ იქნება პატარა ერის გაქელვა და ქვეყნად დამყარდეს თანასწორობა, ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

აი, სწორედ ამ აზრით იყვნენ ჩვენი წინაპრები გამსჭვალული, როდესაც რუსები მოიწვიეს:

...„თუ დღემდის არ ხორციელდებოდა ეს დიადი აღქმა, ეს სულ ზოგიერთების ბრალი იყო და დღეს გაასწლებული რუსეთის აზრი და სურვილი გამოთქვა უმაღლესის პირით. იმედია, ასრულდება ჩვენი წინაპრების განზრახვაც...“

...„გაუმარჯოს დიდებულ რუსეთს და მასთან ერთად ამ პატარა საქართველოს! დასძენს პოეტი („აკაკის წერილი“, გაზეთი „თემი“, 1914 წელი).

თანაზიარობა დიდ რუსეთთან, ნამდვილ რუს ხალხთან სიამაყით არის ხოლმე გამჟღავნებული აკაკის შემოქმედებაში დასაბამიდან დასასრულამდე — ეს არის ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ბელინსკის, გერცენის რუსეთი, რუსეთი, რომელსაც გულები შეალია ნეკრასოვმა და ჩოლსტოიმ და რომლებიც გულწრფელად დაიტირა ქართველმა პოეტმაც. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხელოვნებისა და სახელდობრ თეატრალური ხელოვნების დიდმა მოყვარულმა და მოამაგემ უდიდრესი მემკვიდრეობა რომ დაგვიტოვა თეატრალური წერილებისა და მოგონებების სახით, მკაცრად გააკრიტიკა თბილისში პალმის რუსულ დრამატულ დასში დადგმული ა. პისემსკის „მწარე ხვედრი“.

იმ თვალსაზრისით, რომ მასში აღწერილი უმეცრება და უსამართლობა უკვე ანაქრონიზმია და რომ აღარ ღირდა მათი გამომზეურება: **„განა ცოტა რამ ნათელი მხარეები გააჩნიათ რუსებს, რაიც მაგალითებად წაგვადგებოდა ჩვენს ცხოვრებაში? ნურას უკაცრავად, ბატონო პალმ, ჩვენ კი მსგავს პიესებს დღესდღეობით ვუყურებთ, როგორც რუსი ხალხისადმი ცილისწამებასა და პასკვილს“,** წერდა პოეტი **„ტიფლისკი ვესტნიკში“ 1878 წელს.**

რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებად და ამავე დროს თბილისელი მაყურებლის გემოვნების შესატყვის ნაწარმოებებად პოეტი ჩამოთვლის სხვა პიესებს და მათ შორის გრიბოედოვისა და ოსტროვსკის ნაწარმოებებს („ვი ჭკუისაგან“, „ჭექა-ქუხილი“).

აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ აკაკი თავისი თეატრალური შეხედულებებით რუს განმანათლებელთა მონათესავედ და თანამოზიარედ გვევლინება. ილიასთან ერთად ეშობლიური თეატრის აღორძინების თავკაცს სცენა ეროვნულ სარკედ, უმაღლეს კათედრად ესახება, რომლის უზენაესი ვალიც ეროვნული გრძნობის გაღვივება და დედაენის გადარჩენაა.

„...ხელოვნებას საზოგადოდ პირველი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი, როგორც საერთაშორისო კავშირს“, — ასე სწამს პოეტს, — სცენა კი ის საღმრთო ამბორნი, ის წმინდა ადგილია, რომლის წარამარა ხელის შეხება დიდი დანაშაულია. აქ საკმარისია მოვიგონოთ შეუპოვარი გალაშქრება რეაქციონერ კატკოვის გაზეთის წინააღმდეგ, „მოსკოვსკეე ვედომოსტში“ (1882 წ. № 44) დ. ერისთავის „სამშობლო“ ხელყოფის და მით ქართველობის ეროვნული გრძნობისა და დროშის შეურაცყოფის გამო. **„ჩვენ დარწმუნებული ვართ კეთილმოაზროვნეს და პატიოსან რუსებზე. მან ამაზრზენი შთაბეჭდილება მოახდინა“.** მართლაც ასე მოხდა: აკაკის, ილიას, შაქრო მაღალაშვილის აღშფოთებას ხელნებული პროვოკაციული კორესპონდენციის და მასთან თვით კატკოვის მოწინავე წერილის გამო ამავ საკითხზე მხარი აუბა ცნობიერმა რუსმა პუბლიცისტმა ნ. მიხაილოვსკიმ.

სცენა გულწრფელ მსახურებას მოითხოვს! — დასძენდა ეროვნული კულტურისათვის თავდადებული პოეტი და თეატრისადმი სიყვარულის მაგალითსაც ისევე იძლეოდა, როგორც შმობლიური ენისა და ლიტერატურისადმი, ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი, სახალხო განათლებისადმი სიყვარულისა და მზრუნველობის მაგალითს. ყოველივე ამ სიკეთემ კი საათავე იქ, **პეტერბურგის უნივერსიტეტში იჩინა,** სადაც ქართველმა სამოციანელებმა მიიღეს არა მხოლოდ კლასიკური განათლება, არამედ ეზიარნენ რუს რევოლუციონერდემოკრატთა მოწინავე იდეებს და შმობლიურ ქვეყანას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეროშეებად მოევლინენ.

უკვე დაბრძენებული პოეტი პეტერბურგელი და მოსკოველი ახალგაზრდობისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე სიამაყით ბრიხსენებს სიტაბუცეს. რუსეთში გამართულ ამ საღამო-შეხვედრებს რუსული და ქართული პრესა თანაბარი გულითადობით გამოეხმაურა. ეს აღწერილიც არის ლევან ასათიანის ჩინებული წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“: „ქართველი პოეტი ამყამად იმყოფება ჩვენს სტუმართმოყვარე მოსკოვში, რუსეთის მოწინავე საზოგადოების მოვალეობაა მიესალმოს მას, როგორც პატარა კეთილშობილი ხალხის წარმომადგენელს და უთხრას მას, რომ რუსი ხალხის გულწრფელ სურვილს შეადგენს „ორი დის“ ნდობასა და თავისუფლებაზე დამყარებული კავშირი“.

მართალია, აკაკის სიტყვები და ორი ინტერვიუ თხუთმეტტომეულშია დაბეჭდილი, მაგრამ მე მიყვარს „წყაროსთან“ მისვლა!... ახლაც ვიგრძენი წყურვილი უშუალოდ ძველი გაყვითლებული და ჩანავლებული გაზეთების გადაშლისა და აი ეზიარ პოეტის სიჭაბუკის ქალაქში, სენატის ძველ შენობაში, სადაც ამყამად ქალაქის ისტორიული არქივი და ბიბლიოთეკაა და „რუსკეე ვედომოსტის“ 1913 წლის I ნახევრის სქელი შეკვრა მიდევს მერხზე: 15 იანვრის მეოთხე გვერდზე რუბრიკით „მოსკოვური ამბები“ იბეჭდება ხელმოწერილი კორესპონდენცია:

«Чествование грузинского поэта кн. А. Р. Церетели:»

ძასში ავტორი კეთილსინდისიერად გადმოგვცემს მოსკოვის ქართული სათვისტომოს მიერ ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში პოეტის პატივსაცემად გამართული ნადიმის მსვლელობას.

...მხურვალე აპლოდისმენტები; ...თაიგული და დაფნის ქნარი, ამოქარგული თეთრი ვარდებით: **„ჩინებულ ქართველ პოეტს“...** (საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის შვილიშვილის ო. გრუზინსკაიასგან).

ერთხმა შეძახილი: **„გაუმარჯოს ქართული პოეზიის მზეს, თავად აკაკი წერეთელს!“.**

...მრავალჟამიერი...

საღამოს თავკაცია ცნობილი მსახიობი და დრამატერგი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი.

ისევე, როგორც პეტერბურგის სათავადაზნაურო საკრებულოში გამართულ ქართველთა სათვისტომოს ტრადიციულ საღამოზე, სობინოვი აქაც უღრმესი მოწიწებითა და სიყვარულით უმღერის პოეტს: „პოეტის და არტისტის გადაჭდობილი ხელები ორი ერის კულტურის ნთესაობისა და კავშირის ემბლემა იყო“, დაუბეჭდავს აღფრთოვანებით პეტერბურგულ საღამოზე, ქუთაისურ გაზეთ „მერცხალს“ და იმ წერილს გადაბეჭდავს ჟურნალი „ალდეც“ (1913 წ. № 6).

დავუბრუნდეთ მოსკოვურ საღამოს: ერთმანეთს ეხაკლებიან სტუდენტები, მათ შორის ლალიძე (უნივერსიტეტის სამიწათმოქმედო წრის სახელით); ეს გაბლავთ მიტროფანე ალიძის უმცროსი ძმა და მისივე სტიპენდიანტი გრიგოლი; დეკანოსიძე და აბესაძე (მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტი) არსენიშვილის ქალი (ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელთა წარმომადგენელი).

...ქართველი ახალგაზრდობის ყოველი სიტყვა ქართულად წარმოითქვა, ამავე ენაზე, მამაშვილურად ესაუბრებოდა მათ პოეტი, — აღნიშნავს კორესპონდენტი. იგი იგონებდა იმ ძნელ წლებს, როდესაც მისი თანამოაზრეების ჯგუფი ჯერ კიდევ თითზე ჩამოითვლებოდა. თავადი ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, რომლებთანაც ხელიხელჩაკიდებულმაც დაიწყო ბრძოლა 60-იან წლებში საქართველოში გამეფებული აპათიისა და უკულმართობის წინააღმდეგ.

„...ქართველობას ახლა გაუადვილდება კულტურული ბრძოლა, ახალგაზრდა ინტელიგენტს აღარ დასჭირდება თვითგანწირვა, საკუთარი „მეს“ უარყოფა! თუკი ყოველი მოსწავლე ახალგაზრდათაგანი ხალხის კულტურულ განვითარებაში მცირე წვლილს მაინც შეიტანს, საქართველოს აღორძინებისათვის ბევრი რამ გაკეთდება. ქვეყანა, რომელმაც წარმოშვა რუსთაველი, შემოქმედი „ვეფხისტყაოსნისა“, მეფე ვახტანგ VI, თამარ მეფე, არამცდაარამც არ მოკვდება, იგი გაიმარჯვებს თავისი კულტურული განვითარებისათვის ბრძოლაში და მომავალში თავისუფალ ხალხთა ძმურ ოჯახში დამკვიდრდება“.

აი, ამაზე შეიძლება ითქვას პოეტისავე სიტყვებით: თანამედროვე აზრები აკაკი წერეთლის მიერ საუკუნის დამდეგს ნაწინასწარიო....

ამ ნაწინასწარ აზრთა რკალშია ქალთა საკითხიც!

თან ეფერება პოეტი ტანად სარო, პირთეერ ქართველ ქალს, თანაც დედობის და ცოლობის წმინდა ვალს შეახსენებს და აფრთხილებს:

მაგრამ გვირგვინს ვერ
იტვირთებს,
ჩემო კარგო ტუჩმარჯანა,
ვინც უარყო მისი ქვეყნის
ბიბლიური ანაბანა!.

რა დიდი გულისტკივილით წერდა აკაკი თანამედროვე ქალთა შესახებ, რომ ისინი ასკდნენ ძველთა კვალს, პატივს აღარ დებენ -დედაენას, შვილებს ნაცვლად ქართულისა, უცხო ენებს ასწავლიან, ჩაკმა-დახურვაზე და საფუნდუკოზე მეტს ფიქრობენ, ვიდრე სამშობლოსა და მის მომავალზეო.

სამგიეროდ, რა დიდი პატივით მიგებებია საზოგადო სარბიელზე ქართველი ქალის გამოსვლას, რაოდენ ემადლიერებოდა ქართული თეატრისათვის შეუპოვარ მოღვაწეთ ეფროსინე ყლდიაშვილს, მაკო საფაროვა-აბაშიძისას, მოშიერალ ელენე თარხნიშვილს, „ჯეჯილის“ რედაქტორს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს... როგორ იღვწოდა ქალთა სასწავლებლების დაარსება-გამრავლებისათვის, როგორ სწამდა, რომ საქართველოს ისევ ქართველი ქალი გადაარჩენდა, ანდერძში კი ითხოვდა, რომ მისეულ საკარმიდამოში მისივე სახელობის დედათა სასწავლებელი გაეხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას...

აკაკის მიერ ნაწინასწარ აზრთა რკალშია ჩრდილოეთში ცოდნამიღებულ ქართველობის ახალ თაობისგან დიდი სიკეთის მოლოდინიც.

„ჩვენს (ძველი თაობის) მოღვაწეობაში და მოქმედებაში თქვენც, ახალგაზრდებსაც გიდევთ წილია, — თქვა აკაკიმ, — ჩვენს დროში ძალიან ცოტა იყო ისეთ პირთა რიცხვი, რომელთაც შეეძლოთ შეგნებულად ეფიქრათ ქვეყნის საკეთილდღეო მოქმედებაზეო, მაგრამ ეს იმიტომ **არ გვიკარგავდა... ჩვენ თქვენ მოგელოდით, თქვენ გიცდიდით. გვამხნევებდა ის იმედი, რომ მამების დაწყებულ საქმეს შვილები განაგრძობდით და კიდეც დაამთავრებდითო. მართლაც, მოლოდინი გაგვიმართლდა, თავისი ერის საკეთილდღეოდ მებრძოლთა რიცხვი დღითი დღე მატულობს! არაფერია, თუ სხვადასხვა გზით მიდიხართ — ეს ბუნების კანონია, ნათქვამია, „ყოველ გზას რომში მიჰყავსო“.** აკაკის მოხდენილმა სიტყვამ გაიტაცა საზოგადოება და „ვაშას“ ძახილთან ერთად მგოსანს ქალიშვილებმა ყვავილები მიაროვეს“. ამ მასალის რუსეთიდან 21 იანვარს თბილისს დაბრუნებული პოეტის ფეხდაფეხ აქვეყნებს 24 იანვრის ნომერში გაზეთი „იმერეთი“.

...ყველა გზა რომში „მიდიო“... ეს რომი პოეტისათვის მისი ქვეყანა, მისი მრავალტანჯული საქართველოა, და ისევ ნაწინასწარი აზრი იყო, „თეგზადალეულთა“ კვალში ჩამდგარი თაობა რომ უკვდავების წყაროს მაძიებელ ზღაპრულ რაინდებს შეადარა პოეტმა. იმ ახალგაზრდობის უმრავლესობამ მართლაც გაკაფა ეკლიანი გზა და თავი არ დაზოგა საქართველოს სასიკეთოდ. ოქტომბრის რევოლუციაც კარზე იყო და საქართველოს გაზაფხულის მოახლოებაც ხომ ადრევე იწინასწარმეტყველა მგოსანმა!

...შენ ერთადერთი აკაკი ხარო, — წერდა ილია ჭავჭავაძე ერთერთ წერილში, მანვე შეუქმნა მარილიანი სიტყვა და სიტურფით სავსე ქართული მგოსანს.

ის ერთადერთი აკაკი იყო და ამიტომ იწამა ხალხმა როგორც ღვთაება, როგორც ერის დამამშვენებელი მგოსანი, რომლის სახელი სიცოცხლეშივე გასცდა სამშობლოს ფარგლებს და ნობელის პრემიაზე მისი ქმნილებების წარდგენის სურვილიც კი გამოითქვა საფრანგეთის ლიტერატორთა წრეში.

1907 წელს საქართველომ დაიტირა თავისი ერთადერთი ილია, მანვე 1908 წელს თავის ერთადერთ აკაკის გადაუხადა დიდი იუბილეე, რომელიც მთელ რუსეთის იმპერიაში და უცხოეთშიც გაჰმაურდა. 1909 წლის მიწურულს პოეტი პარიზში მიემგზავრება გემით (გზად იგი ტრაპეზონში სოლომონ მეფის საფლავთან მოიმწუხრებს და კიდევ ერთი საფლავი — რუსთაველის საფლავი ედარდება, რომელიც იერუსალიმს ეგულება).

პარიზში სამკურნალოდ ჩასული მოხუცი თავს არიდებს ყველას, მაგრამ ერთი ჟურნალისტი და ისიც ქალი (ბედნიერ ქალი) მაინც „შეუჩნდება“ და „გადახატავს“ მის ბიბლიურ პორტრეტს. „საუბრის დროს, რომელშიც დიდმა მწერალმა უხვად გამოავლინა თავისი მახვილი გონება და მოღიმარი ღრმა ფილოსოფია, ჩვენ შევძელით მოგვეხაზა მისი ლიტერატურული პორტრეტი.“. შემდეგ ქალბატონი ტუკა-მასიიონი ამცნობს გაზეთ „ლე ნუველის“ მკითხველთ, რომ გასულ წელს პოეტს სამშობლოში გადაუხადეს იუბილე და რომ ასეთი დღესასწაული საეკვოა განეცადოს რომელმე პოეტს, ვიქტორ ჰიუგის გარდა, რომ მას მისი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიესალმა 200-ზე მეტი დეპუტაცია და მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიიღო მისალოცი დეპეშები. მოსკოვსა და პეტერბურგში ჰრესმ გაუმართა ნამდვილი აპოთეოზი, თვით დიდებულ ტოლსტოისაც არ რგებია ეს ხვედრიო!“ — აღნიშნავს იგი და განაგრძობს: აკაკი წერეთლის ნიჭის პატივისმცემლებმა სთხოვეს მას წარედგინა თავისი ნაწარმოებები ნობელის პრემიაზე. „მე — და მშვიდობის პრემია?! — ღიმილით წამოძახა მან — ყველა ჩემი ნაწარმოები ხომ ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული! — და დაუმატებია: „უწინარეს ყოვლისა მე სათნოების მომხრე ვარ, თუ ხოტბას ვასხამ იარაღს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისათვის“. აკაკი წერეთლის საფრანგეთში მოგზაურობა ვრცლად გააშუქა თავის უკანასკნელ წიგნში პროფესორმა დ. ფანჩულიძემ („განათლება“ 1980 წ.).

აკაკი იქაც, პარიზში (1909 წ.) ქართველ ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარულს უქადაგებს და იგონებს წარსულს: „ქართველმა სტუდენტობამ რომ ფეხი აიდგა, თავი პირველად პეტერბურგში ამოჰყო. იმ გუნდში მეც ვერიე“...

...ახლა უფრო შორს გაჭრილ ქართველთა გუნდს პოეტი ასე მოძღვრავს: „შოვინიტობა, ესე იგი, სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვლებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, სიძაგლობაა, მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა თავის ქვეყნისათვის სამშობლოს გარეწრობა. ვისაც თავისი შობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება, თავის ქვეყნის სამსახურში მხოლოდ გამოიხატება, ბატონებო! თქვენც ნუ მოანდომებთ მთლად თქვენ ცხოვრებას მარტო პირადობას, საზოგადოსაც შეეწირეთ ხოლმე მცირე რამ და იმ ბევრმცირესგან შესდგება ბევრი და დიდი რამ!... ნუ დაგვიწყდებათ, რომ მომავალი თქვენია და სამშობლოც თქვენგან მოელის იმ უკვდავების წყაროს, რომელიც სამკურნალოდ უნდა ეხსნოს არა მარტო მას, არამედ მთელ კაცობრიობასაც!“.

პოეტი — გამზრდელი ამასვე შთაგონებდა პატარა მეგობრებს: „გთხოვთ, რომ არ დავიწყოთ დღევანდელი დღე მიტომ კი არა, რომ ჩემის მიზეზით არის გამოწვეული, არა, უფრო სხვა მიზეზებით; აი, ხომ ხედავთ ხალხში აღძრული ეროვნული გრძნობა და უნდა, რომ ჰყვანდეს მას ნამდვილი მოღვაწე და გმირი და არა ჩემსავით მოჩვენებული (ამას პირველად როდი იტყვის მგოსანი!) და ეს გმირი თქვენმა თაობამ უნდა წარმოშობოს და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზედ გედგმებათ ფეხი; ვინც თავის გვარტომობას უარჰყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება... გიყვარდეთ თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტურის გრძნობით კი არა, ესე იგი რომ სხვისი დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ეროვნებას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც ხარჩულად უნდა ედვეს ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი. გადაეცით ეს თქვენს პატარა ამხანაგებს.

პოეტის მუდარა მისწვდა მის ერს.

პოეტი-მწყემსი ერთობა-შეკავშირებაში ხედავს ხალხთა ძალასა და მომავალი თაობის ვალს და ამიტომაც მისთვის წმინდათაწმინდა მცნებას, უქადებს ყოველ მოყვარეს თანამომძეთ.

„...ცხრა მთას იქით როდია ის გაზაფხული, რომელიც თავისი ცხოველი და თბილი სხივებით გაგათბობთ არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ მალე მოვა განახლებული, ახალი რუსეთი და თქვენ, აქ დამსწრენი, ამ ახალი რუსეთის პირველი მერცხლები ხართ...

...მე მინდა გადდეგრძელოთ თქვენც, როგორც ამ გაზაფხულის პირველი მერცხლები, და ისინიც, ვინც თქვენ მოგყვებათ არა ეკალ-ნარით, არამედ ძმობის, თანასწორობისა და სიყვარულის თაიგულებით“.

სიტყვა მოსკოვში გამართულ ნადიმზე.

„ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსთა შორის ისეთნიც არიან, რომლებსაც ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

სიტყვა პეტერბურგში გამართულ ნადიმზე.

„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები, მოგიწვიეს, მაშინ ჩვენ, შვილიშვილებს, გვიანდერძეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით“...

სიტყვა პოეტ კ. ბალმონტისადმი.

„ჩვენმა სამშობლომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრებთან ბრძოლის, სისხლის ღვრის, ტანჯვის და ბევრი უბედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, გადაწყვიტა თავისი ბედი მით, რომ მონახა სასურველი პატრონი, რომელსაც შეავედრა და მიანდო თავისი თავი, იმ ახალ პატრონს ცხადია ის დროის საქართველოს სიკეთე ჰსურდა და მიტომაც მიიღო ის თვისს მფარველობაში“. გარეშე მტრებისაგან დაცვის გარდა, რომელიც იყო თავდაპირველი მიზეზი ჩვენი სამშობლოს რუსეთთან შეერთებისა, უკანასკნელის მოვალეობა მოითხოვდა შეხედგომოდა აგრეთვე ჩვენში მოქალაქეობისა და განათლების შემოტანას“.

წერილიდან „ვინ სტუუის?“.



„ძველად, როგორც ისტორია გვეუბნება, ქართველები და ხომხები ეოველთვის ძმურად ხელიხელ ჩაკიდებული თანასწორად ეგებებოდნენ ჭირსა და ლხინს... დარწმუნებული ვარ, რომ ამიერიდან როგორც ძველად, ხელი-ხელს ჩაკიდებული მივეგებებით მომავალს. წინდახედული იყოს ჩვენ შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული“...

მის იუბილეზე მისულ მაჰმადიანთა დელეგაციისაც ასევე მიმართა პოეტმა, „ძველად ჩვენს შორის გალესილი მახვილი იდვა. დღეს განათლებამ და განვითარებამ წინ ისეთი ბიჯი წაგვადგმევინა, რომ ის მახვილი კავშირად არის გადაქცეული, ხარჩულად უდევს ერთობა და სიყვარული“.

ასეთია რუსთაველის სიბრძნეზე აღზრდილი პოეტის და მამულიშვილის მრწამსი!

„ჩემს თავგადასავალში“ რომ პოეტი იგონებს, როგორ ეევედრებოდა უფროს დას — ანას კითხვა მასწავლეო, დასძენს: მალე „ვეფხისტყაოსანმა“ გამიტაცა... „რამდენსაც წლის განმავლობაში ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი, მხედრული ჩემთვ ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე, რუსული კითხვა დედაჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. ერთი ძველი, მოსკოვში დაბეჭდილი „როზოღოორი“ გვქონდა და იმას მაზეპირებინებდა ხოლმე“...

აკაკიმ ისე შეისისხლხორც

„კომუნისტის“ საქვირაო საკითხავი

„სულიკო“ გერმანულად

„სულიკო“ გერმანულ ენაზე ისევე მომხიბლავად ჟღერს, როგორც მშობლიურ ქართულ ენაზე. ამაში დარწმუნდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გამართული მეგობრობის საღამოს მონაწილენი, სადაც ეს ძველებური სიმღერა შეასრულა დასავლეთ გერმანიის ხაარის მხარის მეშახტეთა გუნდმა.

პარტნიორობის მჯიდრო კავშირი, რომელიც თითქმის ათი წელია არსებობს თბილისსა და ხაარბრიუკენს შორის, გასცდა ქალაქების ფარგლებს და საბჭოთა საქართველოს ხაარის მხარეს დაუმეგობრა. ახლინ გავრცელდა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე და ხალხთა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მკაფიო მაგალითი გახდა. ეს თქვეს საღამოზე საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. მელაძემ და ხაარის მხარის ქალაქ ფოლკლინგენის ბურგომისტრმა გ. შუსლერმა.

სტუმრებმა საქართველოში სამი დღის ყოფნის დროს დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ თბილისის გაერთიანება „ელმსვალმშენებლის“ მუშაობას, შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ო. თაქოიქიშვილს.

„ᲡᲣᲚᲘᲙᲝ“ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲐᲓ

ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ

ᲐᲗᲘ დღის წინათ იუგოსლავიის დედაქალაქი მთელი მუსიკალური სამყაროს უურადღებას იპყრობდა: აქ მიმდინარეობდა ახალგაზრდა პიანისტთა მეცამეტე საერთაშორისო კონკურსი. მსოფლიოს 16 ქვეყნის 58 მუსიკოსი ერთმანეთს ეცილებოდა საპრიზო ადგილებს. საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის სახელს იცავდნენ მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი დიმიტრი კაშეევი, ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტი ნატალია ტრული, ბაკოელი ასპირანტი თეიმურაზ შამსიევი და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი ნინო ქათამაძე. ორმა მათგანმა — ნატალია ტრულმა და ნინო ქათამაძემ შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს — დაიკავეს შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები.

იუგოსლავიის პრესა, რადიო და ტელევიზია ფართოდ აშუქებდნენ კონკურსის მიმდინარეობას, საქებარი სიტყვებით იხსენიებდნენ ახალგაზრდა ტალანტების ამ წარმომადგენლობითი ფორუმის გამარჯვებულებს.

ბელგრადის კონკურსზე გამარჯვება ქართველი პიანისტის მეორე საერთაშორისო აღიარებაა. ოთხი წლის წინათ იგი პარიზის მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის კონკურსის ლაურეატი გახდა.

ორი საკონკურსო კონცერტი ჩაიწერა ბრატისლავის ტელევიზიამ. კონკურსის შემდეგ გამოვიდა გრამფირფიტა — სარ. ფარმაქიმი, ხალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის „ტოკადას“ ჩანაწერით, რომელსაც ნინო ქათამაძე ასრულებს. ეს ნაწარმოები მის საკონკურსო პროგრამაში შედიოდა.

ნოემბერში ნინო ქათამაძე კონცერტებს გამართავს საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ხოლო თებერვალში მონაწილეობას მიიღებს სოფიის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში. მას შესთავაზეს აგრეთვე კონცერტები გამართოს პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში. ნინო ქათამაძეს შემოქმედებითი გეგმებით გათვალისწინებული აქვს მონაწილეობა მიიღოს ზაგრების საერთაშორისო კონკურსში, სადაც იგი უკვე მიწვეულია. (საქინფორმი).

„ᲤᲐᲠᲛᲐᲥᲘᲛᲘ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲔᲜᲡ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲘ კოსმეტოლოგები თბილისის მცხოვრებლებს იწვევენ საპარფიუმერიო მრეწველობის სიახლეთა დასათვალიერებლად. ნოემბრის შუა რიცხვებში საპარიკმახერო „პირიმზის“ სალონში გაიმართება მსოფლიოში ცნობილი ფირმის „ფარმაქიმის“ პროდუქციის დემონსტრაცია.

თავის ხელოვნებას უწვენებენ გამოცდილი ბულგარელი კოსმეტოლოგები და პარიკმახერები.

„ფარმაქიმი“ ბულგარეთის უდიდესი სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანებაა, რომელშიც შედის 14 ქარხანა და 8 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სსრ კავშირი ბულგარეთის ფირმის მთავარი ექსპორტიორია.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲡᲠᲝᲚᲐ. სოხუმში დაიწყო სსრ კავშირის თახის გათამაშება ტყვიის სროლაში. შეჯიბრების სტარტზე ქალთა შორის პირველი ადგილები მოიპოვეს მ. ზავოლოდკომ (ვარჯიში მ3-5, 582 ქულა), ვ. კორენეგამ (ვარჯიში მ3-5,592 ქულა). ვაჟებში უძლიერესნი იყვნენ ა. კუდელინი (ვარჯიში ვ3-6, 585 ქულა) და ხ. სუმბატოხინი (ვარჯიში მ3-6, 569 ქულა).

ᲙᲠᲘᲖᲘ. რომში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები ა. იაგუბკინი (ევროპის პირველი ნაკრები, 91 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) და ბ. ესყანოვი (ევროპის მეორე ნაკრები, 48 კგ). პირველმა ნახევარფინალში დაამარცხა ა. მუსონე (იტალია), მეორემ — ბულგარელი ფ. მუსტაფოვი (ევროპის პირველი ნაკრები). მოგვიანებით გამოვლინდა კიდევ სამი საბჭოთა ფინალისტი: ს. ნურკაზოვი (ევროპის პირველი ნაკრები, 57 კგ), ვ. ლაპტევი (ევროპის პირველი ნაკრები, 71 კგ) და ვ. კაჩანოვსკი (81 კგ). ნახევარფინალში ნურკაზოვმა დაამარცხა ფ. რაუშენგი (გდრ, ევროპის მეორე ნაკრები), ლაპტევმა — რ. ჰანგერი (გდრ, ევროპის მეორე ნაკრები), კაჩანოვსკიმ — ხ. ისმაილი (ერაყი, ევროპის მეორე ნაკრები).

ᲰᲐᲓᲠᲐᲜᲘ. ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. გათამაშდა მერვე ტურის პარტიები, რომელთა უმეტესობა გადაიდო. ამ ტურში მხოლოდ 4 პარტია დასრულდა და ოთხივე ყაიმით. დაზავდნენ: პოლუგაევსკი-ვანანიანი, კარპოვი-ტიმანი, ლუბოევიჩი-ანდერსონი, სპასკი-ჰიუბნერი. ახლა ტურნირის ლიდერს, პოლუგაევსკის 4,5 ქულა აქვს, ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები და თითო გადადებული პარტია აქვთ კარპოვსა და ლუბოევიჩს. შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურიღა დარჩა.

ᲮᲐᲚ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ამ სახეობის სპორტის წლითიწლამდე მზარდი პოპულარობა და ფავორიტობა — საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუმინეთის, ბულგარეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულად უშეღავათო და დაძაბული შეჯიბრება წელსაც საინტერესო ასპარეზობის ბილეთს გვპირდება სპორტის მოყვარულებს.

რედაქტორი
Ზ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲘ

ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

I

ზაფხულში, არაგვზე, სალუდე დუქანთან
უკრავდა დირა და დათვი ბუქნავდა.

ფიცხობდა, ხსიოდა მზის ცხელი დირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.

ღრეობდნენ ხევსურნი... და ზორბა ხინკლები
პეშვიდან სხლტებოდნენ, როგორც თხის ჯიქნები,

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.

გზაზე კი სურათი კაცს ღიმილს მოპგვრიდა:
ერთ ახმახს იაბო დაუფრთხა ბოგირთან.

რაც ვნახე, როგორ ვთქვა ან როგორ გიამბოთ,
გოლიათს ლაჯვებში მოეხრჩო იაბო.

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეკიდათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.

ერთურთს ხანჯლებივით უღერდნენ ტაპეებს
და ჰგავდნენ ლანდები წარმართულ ღვთაებებს.

ფიცხობდა, ხსიოდა მზის ცხელი დირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.

ცხვნს გადაახუხა ხევსურმა არაყი,
ფუზი ჰკრა და... ფეხით გახტობა არაგვი.

II

როდესაც სიკვდილი იქ, ბარში, მოყვრებთან
ეკანაბეს მოხრავდა და მტკვრის წყალს მოხვრეპდა.

მთიდან ჩამორბოდნენ ხარები პარადა
და რქებით ჩხვერაოდნენ კრწანისს თუ მარაბდას!

ბარში მოდიოდნენ „ოვეები“ კერკეტა —
მთაში ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად.

და სიკვდილს, სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა,
ხევსურის ფარია სხვა მრავალ ფართავან.

ე მაგის სისხლია, ე მაგის ძელებია,
ჩვენს ქართულ ციხეებს რომ ჩაფიცხებია.

ე მაგის სისხლია, ე მაგის სინდისი,
ომში რომ არ ნავხდით სიკვდილთან პირისპირ.

მის გორდას მამულის გზა გაუკაფია,
გორდასებრ ჩანჩხლებს ყრის ე მაგის კაფია.

მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა,
რომ მტერი ეერაგი კვდებოდეს მიშისგან!



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: დავით აღმაშენებლის ღვთისმშობლის ხატის ფრაგმენტი; ივერთა ღვთისმშობლის ხატი; ვერცხლის აზარფეშა.

თ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ფოტო.

● ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲑᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ — ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ ● XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲙᲘᲗ 1709 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ● ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲥᲛᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲮᲠᲔᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲛᲝᲙᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ.



ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ

ᲞᲝᲔᲢᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲘ

ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

I

ზაფხულში, არაგვზე, სალუდე დუქანთან
უკრავდა დირა და დათვი ბუქნავდა.

ფიცხობდა, ხსიოდა მზის ცხელი დირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.

ღრეობდნენ ხევსურნი... და ზორბა ხინკლები
პეშვიდან სხლტებოდნენ, როგორც თხის ჯიქნები,

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.

გზაზე კი სურათი კაცს ღიმილს მოპგვრიდა:
ერთ ახმახს იაბო დაუფრთხა ბოგირთან.

რაც ვნახე, როგორ ვთქვა ან როგორ გიამბოთ,
გოლიათს ლაჯვებში მოეხრჩო იაბო.

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეკიდათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.

ერთურთს ხანჯლებივით უღერდნენ ტაპეებს
და ჰგავდნენ ლანდები წარმართულ ღვთაებებს.

ფიცხობდა, ხსიოდა მზის ცხელი დირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.

ცხვნს გადაახუხა ხევსურმა არაყი,
ფუზი ჰკრა და... ფეხით გახტობა არაგვი.

II

როდესაც სიკვდილი იქ, ბარში, მოყვრებთან
ეკანაბეს მოხრავდა და მტკვრის წყალს მოხვრეპდა.

მთიდან ჩამორბოდნენ ხარები პარადა
და რქებით ჩხვერაოდნენ კრწანისს თუ მარაბდას!

ბარში მოდიოდნენ „ოვეები“ კერკეტა —
მთაში ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად.

და სიკვდილს, სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა,
ხევსურის ფარია სხვა მრავალ ფართავან.

ე მაგის სისხლია, ე მაგის ძელებია,
ჩვენს ქართულ ციხეებს რომ ჩაფიცხებია.

ე მაგის სისხლია, ე მაგის სინდისი,
ომში რომ არ ნავხდით სიკვდილთან პირისპირ.

მის გორდას მამულის გზა გაუკაფია,
გორდასებრ ჩანჩხლებს ყრის ე მაგის კაფია.

მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა,
რომ მტერი ეერაგი კვდებოდეს მიშისგან!

ᲞᲝᲔᲢᲘᲠᲘ სიტყვა მრავალუცნობიან განტოლებას ჰგავს, რომელსაც თავისი თვალთახედვით ხსნის მკითხველი და თითოეს სწვდება შემოქმედის გულისთქმას. მაგრამ გადის დრო და იგივე მკითხველი პოეტობს ახალ-ახალ ნიუანსებს, გრძნობებს, აზრებს და რწმენდება, რომ ამ სულის იეროგლიფის მთლიანი გაშიფვრა ეერასოდეს მოხერხდება, რადგან მასშია მოქცეული მარად ცვალებადი და იდუმალი ადამიანური სიცოცხლე. ასეთი განწყობილება გვეუფლება, როცა ვკითხულობთ **შოთა ნიშნიანიძის** ლექსების სრულ კრებულს **„წუთისოფელი ანგელ“**.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის საყრდენია მითოსი და ისტორია, რომელთა შორის ზღვარს შლიან ასოციაციები და ხილვები. პოეტი ეშვება შორეული ეროვნული ძირებისაკენ, უძველესი პლასტებისაკენ, რათა მათგან მოგვრილი მხნეობა, სიცოცხლის უნარი გადმოსცეს დღევანდელობას, აქციოს თანამედროვე ჰეროიზმის ნაწილად. იგი წარსულში გმირული და გრანდიოზული მოვლენების მაძიებელია, რათა მკითხველს თვალწინ ედგას სიმამაცისა და რაინდული თავდადების მაგალითები. შ. ნიშნიანიძე თავის გრძნობებს და აზრებს ნაკლებად გამოხატავს აღსარების მონოლოგის ფორმით. იგი ამეტყველებს არსებულ ან გამოგონილ პერსონაჟს. მას გადასცემს თავის სათქმელს. შეიძლება მოგვიჩვენოს, რომ პოეტი — სუბიექტი დაკარგეთ კიდეც. ნამდვილად კი ყოველი სახელი თუ საგანი ავტორის სულიერი ღელვის სიმბოლოა მისი შინასამყაროს ქაოსიდან გამომხსნელი.

ბრუტუსი, თევდორე, ცოტნე, ეიტმეხი, ჩაპაევი, ხეკვსური თუ მონღოლი პოეტის ცნობიერების საგნობრივი გამოვლენა, დაფარული არსის მეტყველებაა.

პოეტის მთელი ოდისეა იყო გმირის ძიება, იმ გმირისა, რომელიც იქნებოდა არა მხოლოდ სუბიექტურ ხილვათა სიმბოლური ხატი, არამედ მასების განწყობილების კრებადი სახეც, მომავლის სანიმუშო, რომლის გული დაიტევდა მთელი ხალხის სევდასა და სიხარულს. ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ ბოლო „კომუნისტების“ ავტორის სიტყვამ შეიძინა მეტი ლირიკული სითბო და დიდი მოქალაქეობრივი აქტუალურობა.

შოთა ნიშნიანიძის ბუნებისათვის უცხოა იუგალერის სიზუსტე. იგი აზვირთებული ვნებების დირიჟორია. ასეთი სტილის პოეტები სიცოცხლის აზრს ხედავენ ნგრევასა და შენებაში. მათში გადმოდის ყოფიერების მრისხანე ნება, რომელიც მიწისძვრის დარად აჩენს ახალ რელიეფს. პოეტის პათოსი, ტემპერამენტი, რომანტიკა, ჭარბი მგრძნობელობა და სტიქიური ესთეტიზმი ვლინდება ენერგიულ მეტყველებაში, სახეობრივ აზროვნებაში, ახალ და მძაფრ მეტაფორულ სისტემაში.

გმირის ძიებამ პოეტი მიიყვანა კომუნისტის სახემდე.

შოთა ნიშნიანიძისათვის დიდად მახლობელი ადმოჩნდა რევოლუციური რომანტიკა. და ეს სავსებით ბუნებრივი გახლდათ. სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი, მონუმენტური სტილი, გმირობის კულტი, სიდიადისაკენ სწრაფვა, ეს სულიერი მონაცემი შეესაბამებოდა განახლების პათოსს. მას თითქოს ბიძგი სჭირდებოდა, სიტუაციის შეცვლა სჭირდებოდა, რათა ღმერთკაცებთან და ისტორიულ გმირებთან ერთად დაედგინა „**გრძელმაზარიანი ძველი ბოლშევიკების**“ ნაწამები შუბლი. არ იყო შემთხვევით ნათქვამი: „**ვერ ივარგებდა კომუნისტებად ხერხეულიძე ცხრა ძმა?**“ პოეტი ხომ თავის ოცნებაში ჭვრეტს მთლიანი საქართველოს ბედს, თავისი წარსულით, მომავლით, კუთხეებით.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: შოთა ნიშნიანიძე თავის თავს მიიჩნევს დიდი ეპოპეის დაგვიანებულ წევრად: მაგრამ დრო და მანძილი უნდა გაარღვიოს პოეტის სიტყვამ, რომელსაც გაჰყვება მისი სუნთქვა და გულისძგერა. პოტენციურად მოცემული ნების დაკმაყოფილების ჟინი ბიძგია რეალობიდან ოცნების საუფლოსკენ. ძველ დროში შოთა ნიშნიანიძე ალბათ მეცხოვნე-მეომარი იქნებოდა, კლასობრივი ბრძოლის წლებში — რევოლუციონერი. ახალმა დრომ პიროვნული ენერგია სხვა მიმართულებით წარმართა, მეომრული სული შემოქმედად გარდასახა. ამიტომ ისიც, მასების დარად, გარეგნულად დინჯია და წყნარი, მორიდებული და უხმაურო, სამაგიეროდ ალმოდებული სტრიქონები გვიმოწმებენ რა ცეცხლი მძვინვარეს პოეტის სულის უფსკრულში, საიდანაც ამოდიან საქართველოსთვის ტანჯულთა, წამებულთა, ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლთა ლანდები.

შოთა ნიშნიანიძემ კომუნისტის სახე ვრცელ კონტექსტში გაიაზრა. მან თვალი მიაპყრო არა მხოლოდ დღევანდელ ალმშენებლობას, არამედ გადასწვდა წარსულსაც, დიდი სამამულო ომი, სამოქალაქო ომი, ბრძოლები ბარიკადებზე — აი პოეტის საუბრისა ერთ-ერთი მასალა. „კომუნისტები“, „ბიშევი“, „ბალადა კაპიტანზე“, „ბარიერთან“, „პოეზიის კალენდარი“, „რკინის ეს-კადრონი“, „საქართველოს კომკავშირს“, „მეგობარ პოეტს“, „კეისარს კეისრისა“, „საგაზაფხულო“, „ყვირილაო, გუშინდელო ზანგეკა“, „ოფხაზური კანტატა“, „სინანულის ბალადა“ ის თვალსაჩინო ქმნილებანია, რომელთაც შექმნეს ქართული სამოქალაქო პოეზიის ახალი ეტაპი. საერთო განახლებისა და გაჯანსაღებისათვის ბრძოლის ჟამს პოეტმა გვიჩვენა გმირის იდეალი, რომლისკენ სწრაფვა არის სიცოცხლის მიზანი. ჩვენს თვალწინ მიჰქრის რკინის ესკადრონი, როგორც ახალი დროის ლეგენდა, ბეჭედი ჯიუტად ცეცხლსა და ისტორიას ეთამაშებიან, გადარბიან მოკლულ ვერენადერებზე, ჭორვი ასკდება ბარიკადს, ხალხის იმედები კი ბავშვურ მკლავებს აუზდავს, ახალგაზრდები მართავენ ზვარში პირველ ჭიგოს და ომშიც პირველი დაეცემიან, ისე კვდება მამაცი კაპიტანი, რომ სიკვდილი უკვირს, იღვრება სისხლი, იღუპებიან გმირები, მაგრამ რწმენას და იმედს დროშასავით გადასცემენ ერთმანეთს და სიცოცხლის ტრიუმფი, მარადიული ბრძოლა წყვდიადთან გრძელდება. შოთა ნიშნიანიძის პოეზია „გმირული სისხლის“ აპოლოგიაა და ამდენად პოეტის წარმოსახვაში საწერი მაგიდა ბარიკადას ეთანაბრება.

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა შოთა ნიშნიანიძის ლექსი „დგას საქართველო სულ სხვა სიმაღლის“. ეს ლექსი ქართველი ხალხის გადარჩენის ბალადაა, ისტორიული სამართლის მადიდებელი სიტყვა. თეთრჩოხიანი ქართველი ელჩები ჩრდილოეთისაკენ მიიჩქარიან, რათა ერთმორწმუნე რუსეთმა ისნას „დიდ იმპერიებს დაჭიდებული“ სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი, ქრისტეს ჯვრის მტვირთველი ქვეყანა: „**გზა მშვიდობისა და გზა კეთილი, საქართველოს სხნა ღმერთმა ინებოს, ჩემი ამაყი და გათელილი, ჩემი ამაყი ქვეყნის შვილებო**“.

„ყრმა მშვენიერი, რომელიც ელჩს წინ იშვიდისა და მომავლის ხატად მიუძღვიმა, მთელი ქართველი ხალხის ფიქრებს გამოხატავს: „**ვეღარ ისვეფეს ნამგალა მთვარე, ვეღარც ახკერის იატაგანი. ჩვენს ლამაზ შვილებს ამიერიდან მონად გაყიდვა არ ეშუქრება, ჩვენი ხვიჩები ამიერიდან არ მოკვდებიან მამელუკებად. მორჩა... ირანმა ლომის ღრიალი კაკაჯანის მთებს ვერ გადაჰკრა, შენ კი მშვიდად ხარ და უწინარეს გამოხსნილი ხარ ლომის ხახიდან**“.

ინტელექტუალური თუ ფიზიკური შრომა თანაბრად იწვევს მგოსნის პატივისცემას და ისიც, ისტორიის სისხლის ზღვიდან გამოსული, წერის მეკვნახის თუ მოქანდაკის, პურის მომკელის თუ მხვნელ-მთესველის სადიდებელ ჰიმნებს. და ის გმირიც, რომელსაც პოეტი თავისთავთან ერთად ზღაპრებში ეძებდა, სიზმრებში ეძებდა, ბალახების ჩურჩულში თუ მოლაღურების ძახილში ეძებდა, ისგზის მოკლული და ისგზის ალმდგარი, ბელტს აბრუნებს, კომბაინის საჭის უზის, სართულებს აგებს, ამერ-იმერს ვაზით ბურავს და „სისხლით და ოფლით“ წერს ჩვენი დღეების ჰეროიკულ ბიოგრაფიას.

ᲡᲝᲡᲝ ᲡᲘᲒᲣᲐ,
ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში 20 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, მუზეუმის დირექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა თეიმურაზ ბადურაშვილმა პრესკონფერენციის მონაწილეებს წარმოუდგინა ის უნიკალური ექსპონატები, რომლებიც მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა ძირითადად მოიკვლიეს მოსკოვის სამ ცენტრალურ მუზეუმში — საისტორიო, რევოლუციისა და შჩუსევის სახელობის არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითს მუზეუმებში.

ცენტრალური საისტორიო მუზეუმიდან ჩამოტანილია დავით აღმაშენებლის ღვთისმშობლის ხატის ფრაგმენტი — მოოქრული ვერცხლის ნაკეთობა, იგი თავის დროზე საქართველოდან ყოფილა გატაცებული და შვიდ ნაწილად დანაწევრებული. შემდგომ, როცა მუზეუმს საგამოფენოდ ამერიკაში გაუგზავნია, იქ ეს ნაწილები დაუმონტაჟებიათ.

საინტერესოა მე-18 საუკუნის გულსაკიდი. ღვთისმშობლის გამოსახულება ბზაშია შესრულებული, გარედან კი ვერცხლში ჩასმული. იგი რუსეთში მოსახლე ქართველთა ოჯახს წმინდა გიორგის ეკლესიისთვის შეუწირავს.

საისტორიო მუზეუმიდან არის ჩამოტანილი ვახტანგ მეექვსის მიერ თბილისში 1709 წელს დასტამბული სახარება, ეს წიგნი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. გარედან იგი მოჭედილ ყდაშია ჩასმული, რომელიც ტრადიციულად ქრისტიანული დღესასწაულის სიუჟეტებია გამოსახული. სახარება, რომელიც თავით ბოლოს ერთ-ერთ ბერ-ეკლესიისათვის შეუწირავს ალბათ ეროვნული ფასეულობა. ეს ფასეულობა ეროვნული ფასეულობა. ეს ფასეულობა ეროვნული ფასეულობა. ეს ფასეულობა